ცნობის ფურცელი

№ 2541 პარასკევი, 2 ივლისი 1896—1904 ყოველ-დღიური გამოცემა № 2541

გაზეთის ფასი: წელიწადში—6 მ., თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში განჯის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა. შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372.

მარიამ როსტომის ასული სულხანიშვილისა, ნიკოლოზ ივანეს ძე სულხანიშვილი ძმით და დებით გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ უდროოდ გარდაცვალებას ძვირფასის და დაუვიწყარის ქმრის პირველისა და მამის უკანასკნელთა

ივანე დავითის ძის სულხანიშვილისა

და სთხოვენ მობრძანდნენ მიცვალებულის გასვენებაზე 3 ივლისს, დილის 10 საათზე, კარის წმიდის ღვთის მშობლის ეკლესიაში სოფელ ტირძნისს. (1—244—1)

საფაბრიკოსაწყობი
ქაღალდის ფაბრიკის სააქციონერო საზოგადოებისა
გ. ი. პალლიზენ
რიგვის ქაღალდის ფაბრიკის ამხანაგობისა და კოშელევების ქაღალდის ფაბრიკების
ტფილისი, გოლოვ. პროსპ. მანთაშევის სახლში. ბაქო, მილიუტინის ქუჩა, გრანდ-ოტელის ქვემოდ.

ქაღალდი ყოველ-გვარი: ფოსტის, საწერი, წიგნის, ალბომის, გაზეთის, საბეჭდი და მუშტუკის, ბოთლის გასახვევი და სხვა; აგრეთვე წიგნები, კონვერტები, საწერი საკანცელარიო საგნები ტელეფონი № 679. (0—137)

ქუთაისში
სასტუმრო „როსია“
ამა 1904 წლის პირველ მარიამობისთვიდან გადადის ნიკოლაძის სახლებში გიმნაზიის ქუჩაზე ქალაქის ბულვარის პირდაპირ მთავარ-ანგელოზის ეკლესიის გვერდით. (15—კ. ნ.—7).

თვალის ავადმყოფობის ექიმი
ვ. ს. მუსხელიშვილი
გადავიდა
კიროჩნის და დიდი მთავრის ქუჩ. კუთხეზე სახლი სვანიშვილისა № 11 (კიროჩნი ქუჩიდან). მიიღებს თვალით ავადმყოფებს ყოველ დღე, დილის 12—2 ს., საღამოთი 6—8 ს., სამშაბათობით მხოლოდ საღამოობით. (3—2)

ტფილისის
კერძო სამკურნალო
მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.
დილით:
დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.
ა. ნ. დიასამიძე.—საშარდეს, ქირურგია, ვენერ. სიფილ. და კანისა 11—12 საათამდე.
მ. ტ. ძულინი.—ყურისა, ყელისა და ცხვირის. 10—11 საათ.
ა. ი. ბალარჯიშვილი.—ბავშვებისა. 9—10 ს.
არ. მ. ხოზოლევსკი.—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათ. და პარასკე. 1—3 საათამდე.
ბ. ა. ბეიერი.—შინაგანი და ბავშვებისა—1—2 საათ. ყოველდღე.
მძ. ქალი მ. კ. იოხელიანი.—ქალისა და საბებიო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 11—12 ს.
ლ. მ. მონინი.—ქალისა, საბებიო და ბავშ. (შვ აცრება ძიძებისა) ოთხშაბათ., პარასკ. და კვირაობით 11—12 საათამდე.
ნ. ტყეშელაშვილი.—კბილისა, 9—11 საათამდე.
საღამოთი:
ა. მ. ხოზოლევსკი.—ხირურგია და ორტოპედია. სამშაბათ. და შაბათ. 5—6 ს.

სამკურნალოში ჰხდება ქიმიკურ-მიკროსკოპიული და ბაკტერიოსკოპიული გამოკვლევანი.

სამკურნალოს აქვს ოცი მუდმივი საწოლი.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები მორიგებით, კრავატები სამი მანეთიდან ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის ხიდიდან პეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9. მიხეილის ქუჩიდან-კი 34 Б.
(წლ.) ტელეფონი № 274.

მკურნალი
მიხეილ გედევანიშვილი
იღებს ავადმყოფებს საღამოს 6—7 საათ. წამლობა ელექტრონით.
ყორღანოვის ქ., № 16, საკუთ. სახ., ტელ. 791.

ქუთაისში
კბილის ექიმი ნ. ა. დემიდოვი
(აბორინის შესახვევი, საკუთარი სახლი)
მიიღებს ყოველ დღე. პლომბის გაკეთება და კბილების ჩასმა. (30—140—29)

კბილის ექიმის
ი. პ. ახალშენიშვილის
კაბინეთში 15 ივნისიდან 20 აგვისტომდე ავადმყოფების მიღება შეწყვეტილია. (5—5)

დაიბეჭდა ცალკე წიგნათ და იყიდება ქართულ წიგნის მაღაზიებში ახალი წიგნი
მამულიშვილობა და მეცნიერება
ივ. ჯავახიშვილისა.
ფასი 15 კაპ. (10—6.—2)

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

30 ივნისი

ტოკიო. („რეიტ. სააგ.“). გენერალი ოკუ იუწყება, რომ რუსებს უჭირავთ გამაგრებული პოზიციები სიმაღლეებზე დაშიცაოს მახლობლადაო. იაპონელებმა დაიჭირეს ძალიან გამაგრებული პოზიცია სუხოკოსთან. იმათი ჯარი ხაიჩენისაკენ მიდის. ზარალი ცნობილი არ არის.—ტოგოს მიერ გამოგზავნილ ცნობებით, როგორც ეტყობა, რუსის კრეისერი „ნოვიკ“-ი იმდენად დაზიანებულა, რომ მებრძოლ გემთა წრიდან გასულა. დაგუშანის არმიას, რომელიც ორად გაყოფილი ჩრდილოეთ-დასავლეთისაკენ მიდის, 26 და 27 ივნისს რამდენიმე შეტაკება ჰქონდა რუსის ჯართან. 27 ივნისს იაპონიის ჯარმა უკუ აგდო რუსის ჯარი იმ სიმაღლეებიდან, რომელიც სინშაიკის დასავლეთით მდებარეობს.

ნიუ-ჩუანი. („რეიტ. სააგ.“). ამბობენ, იაპონელებმა სუნკანტასთან მომხდარ ბრძოლაში წარსულ კვირას დაჰკარგეს 800 კაციო. ეს ბრძოლა მოხდა გაიჩოუს სამხრეთ-დასავლეთით, 10 მილის მანძილზე.

ლონდონი. იაპონიის პირველ არმიის კორესპონდენტი იუწყება: „როგორც ეტყობა, რუსებმა გადასწყვიტეს წინაამდეგობა გაუწიონ მოდულინის უღელტეხილის მეორე მხარეს ჩვენ ჯარს და ხელი შეუშალონ იმის წინსვლას. რუსის ჯარი, რომელსაც ახალი რაზმები მიაშველეს, თავმოყრილია უღელტეხილის მეორე მხარეს. ლიაოიანის გზაზე რუსები ახალ სიმაგრეებს აკეთებენ“.

მუკდენი. პორტ-არტურიდან მოვიდა აქ ერთი მოხელე. როგორც ეს მოხელე ამბობს, გენერალ ფოკს 22 ივნისს იერიში მიუტანია იაპონელების მარჯვენა ფრთეზე და პოზიციიდან გაუდევნია. ჩვენი ჯარის კაცები ნანგალინამდე მისულან. იაპონელებს ჯარი გადაუსხავთ სიაობინდაოსთან. პორტ-არტურში სიწყნარეა. ჯარი კარგ გუნებაზეა, ყველა დარწმუნებულია, რომ პორტ-არტურს იაპონელები ვერ აიღებენ.

პეტერბურგი. მთავარ შტაბის ცნობა: „შორეულ აღმოსავლეთის ნამესტნიკის შტაბის მიერ იაპონელთა წყაროებიდან მიღებულ ცნობებით, 27 ივნისს, ღამე, იაპონელთ იერიში მიუტანიათ პორტ-არტურის პოზიციებზე, მაგრამ რუსებს დიდის ზარალით უკუ უგდიათ. ეძნელებათ დაახლოვებითაც კი მტრის ზარალის აღნიშვნა. ამბობენ, ეს ზარალი 30,000 კაცამდეაო“.

პეტერბურგი. გენერალ სახაროვის დეპეშა, მთავარ შტაბს 29 ივნისს: 1. „27 ივნისს იაპონელები აშენებდნენ ველის სიმაგრეებს სამხრეთის მხრის სიმაღლეებზე, რკინის გზისა, გაიჩოუსა და დაშიცაოდან მიმავალ გზის შუა. 28 ივნისს დაზვერამ აღმოაჩინა მტრის მოწინავე სადარაჯო რაზმები მაოლინგოუსა და სანგოიშის შუა, გაიჩოუდან 8 ვერსის მანძილზე, რკინის გზამდის. როცა განთიადისას ჩვენი მზვერავი რაზმები სინშილიპუსთან გამოჩნდნენ, მტრის სადარაჯო რაზმებმა დაიწიეს მაოლინგოუდან შუანშილინოსკენ; გარეშამო სიმაღლეებზე სანგრების მუშაობა შესწყვიტეს. 28 ივნისს, დილით, მტრის ორმა ესკადრონმა დაზვერა ადგილები რკინის გზის დასავლეთით. დილის 9 საათზე იაპონელთა ერთი როტა ჩამოვიდა სიმაღლიდან იაბლონძის ჩრდილოეთით და სროლა აუტეხა ჩვენ მოწინავე სადარაჯო რაზმს, რომელსაც ეჭირა სოფელი ჩუცმიანდიანძი. როცა ჩვენ რაზმს მაშველი ჯარი შეუერთდა, იაპონელებმა უკან დაიწიეს. დაგვიჭირეს ორი სალდათი, ერთი მათგანი სასიკვდილოდ. აღმოვაჩინეთ ციოძიატუნთან ერთ ბატალიონისა და სამის ესკადრონისაგან შემდგარი მტრის რაზმი, გაიჩოუს ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით, 12 ვერსის მანძილზე. მტრის მოწინავე რაზმები მდინარე კანტახეს ხეობაში არიან, გაიჩოუს აღმოსავლეთით, 14 ვერსის მანძილზე. 28 ივნისს დილამდის არ აღმოჩენილა იაპონელ ჯარის წინსვლა სიახოტანიდან, დაშიცაოსა და შავ მთების სამხრეთ-აღმოსავლეთით. 27 ივნისს აღმოვაჩინეთ მტერი დალინის მხარეს, სიაოკუშანსა და ხეისთან. იაპონელებს სიაოკუშანის პირ-და-პირ და ხეისთან სიმაღლეებზე სანგრები გაეკეთებინათ ზარბაზნებისათვის. ჩვენმა მზვერავმა რაზმმა აღმოაჩინა მტრის ქვეითა ჯარის 2 ბატალიონის ბანაკი სემაგიუს მახლობლად, პანლინის უღელტეხილიდან 8 ვერსის მანძილზე. სროლის დროს დაგვიჭრეს ორი ყაზახი, ორიც უკვალოდ დაიკარგა. მტრის მოწინავე რაზმებს უჭირავთ მდინარე ლანხეს ხეობა, ლიაოიანის აღმოსავლეთით, 50—60 ვერსის მანძილზე. ტიანძაპუძასთან, მზვერავ რაზმების შეტაკების დროს, უკვალოდ დაიკარგა ერთი ყაზახი. ნანპინთან, ლიაოიანიდან 40 ვერსის მანძილზე, გაჩნდნენ ხუნხუზთა ბრბოები, რომელთაც დაგვიჭრეს მოწინავე სადარაჯო რაზმის ერთი სალდათი“. 2. „28 ივნისს მტერი ისევ მაგრდებოდა მაოლინგოუსა და პინზაის შუა, მთების ჩრდილოეთ ფერდობზე, და დასტოვა სიმაღლეები მახუნძუიძასა და იაოილინზასთან. დაძიაპახეს ხეობაში, მახუნძუიძიდან 4 ვერსის მანძილზე, გამოჩნდნენ მტრის მზვერავი რაზმები, მაგრამ ჩვენმა რაზმებმა დააბრკოლეს მათი წინსვლა. ერდაოთანშინის ხეობაში, დაძიანუდან 5 ვერსის მანძილზე, მტერი არ აღმოჩენილა. რკინის გზის მიდამოებში აღმოჩენილ მტრის ქვეითა და ცხენოსან რაზმებს უკან დაახევინეს ჩვენმა მსროლელებმა და საზღვრის დარაჯებმა. სროლის დროს ერთი დღის განმავლობაში დაგვიჭრეს 7 სალდათი; ვიპოვეთ ორი მოკლული იაპონელი და ერთი დაჭრილი ტყვედ წავიყვანეთ. 28 ივნისს, დილით, გამოჩნდნენ მტრის მოწინავე რაზმები პანტახეს ხეობაში, სიუიანდაშიცაოს მხარეს, საღამოზე კი აღმოვაჩინეთ იაპონელთა სადარაჯო რაზმები ხუპეიუმუგუი-ტინდიატინის მხარეს. 29 ივნისს, დილით, აღმოჩნდა მტრის წინსვლა მუგუიდან უღელტეხილისკენ. გაიჩოუდან 8—10 ვერსის მანძილზე, კუტიაძასთან, გამოჩნდნენ ქვეითა ჯარები და ბატარეა, რომელიც გამოვიდა პოზიციაზე და სროლა აუტეხა ჩვენ პოზიციას კუტიაძასთან. ბრძოლის შესახებ დაწვრილებითი მოხსენება ჯერ-ჯერობით არ მოგვსვლია. დალინის უღელტეხილიდან სიმუჩენ-ხაიჩენამდის ცვლილება არაფერი მომხდარა. შევამჩნიეთ მხოლოდ, რომ მტერს ცოტაოდენი ძალა შეჰმატებია პხანლინის უღელტეხილის აღმოსავლეთით, ფინხუანჩენის გზის მიდამოებში. ლიაოიანის მიდამოებში ხუნხუზთა ბრბოები მოქმედებენ. ჩვენ ხიდებისა და გამაგრებულ პოზიციების დარაჯებს შეტაკება ჰქონდათ ამ ხუნხუზებთან.“

1 ივლისი

სეული. („რეიტ. სააგენტო“). გენზანიდან მოსული იაპონელი ჯაშუშები იტყობინებიან, რუსები კენხინის ახლო სიმაგრეს აგებენო. მდ. ტუმენს სასტიკად ადევნებენ თვალყურს. დიდძალი იაპონელები, გენზანში გაქცეულები, ეხლა სეულში ჰფიქრობენ გადასახლებას იმ არევ-დარევის გამო, რომელიც შედეგია ვლადივასტოკის ესკადრის თავდასხმისა.

ტოკიო. („ვოლფის სააგენტო“). ოფიციალურად. გენერალი ოკუ იტყობინება, რომ გაიპინგის, გაიჩოუს აღების დროს 22-სა და 24 ივნისს, იაპონელებს 20 კაცი დაუჭრეს და ოთხი მოუკლეს. 25-სა და 26 ივნისს იაპონელებმა დაჰკარგეს დაახლოებით 150 კაცი.

ჩიფუ. („რეიტერის სააგენტო“). ინგლისის ესკადრა, რომელიც 24 ივნისს მოულოდნელად გამოვიდა ვეიხაივეიდან, ჟუნჩენის ბუხტაში დადის. სარწმუნო წყაროდან იტყობინებიან, რომ ესკადრა თვალყურს ადევნებს იაპონელების მოქმედების განვითარებას პორტ-არტურთანაო.—პორტ-არტურიდან გამოქცეული ჩინელები ამბობენ, რომ იაპონელებმა ისევ აიღეს ორი პოზიცია, საიდანაც ამას წინად განდევნილ იქნენო.

ჟურნალ-გაზეთებიდან

ომის ამბები. ინგლისური გაზეთები იუწყებიან: გენ. კუროკი იმ აზრისაა, რომ იაპონელები დაჭერილ უღელტეხილებთან უნდა გაჩერდნენ, ჯერ პორტ-არტური აიღონ და მერე, დიდის წვიმების შემდეგ, გენ. კუროპატკინის ჯარს დაეცნენ. გენ. ოკუ და ნოძუ კი ვითომ იმ აზრისა არიან, რომ ეხლავე უნდა დავეცეთ გენ. კუროპატკინის ჯარსაო. მალე მთავარ-სარდალი მარშალი ოიამა მივა მანჯურიაში და მაშინ საბოლოოდ გადასწყდება, როგორ მოიქცეს და რა მოქმედებას დაადგეს იაპონიის ჯარი. („ნ.“).

ტოკიოდან ატყობინებენ უცხოეთის გაზეთებს, იაპონიის იმპერატორმა ამ დღეებში გენ. ნოძუ მიიღო აუდენციაზეო. ევროპაში კი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ გენ. ნოძუ დიდი ხანია სამხედრო მოქმედების ასპარეზზეა და მესამე არმიას უფროსობსო. რომელი ცნობა უფრო სწორეა, ვერავინ გამოიცნობს; ცხადი მხოლოდ ისაა, რომ გაზეთებს მეტად არეული ცნობები მოსდით სამხედრო მოქმედების ასპარეზიდან. („ნ. დ.“).

„ჰავასის სააგენტო“-ს ჩიფუდან ატყობინებენ: პორტ არტურიდან მოსულმა ევროპიელებმა ილაპარაკეს, როცა 10 ივნისს რუსის ესკადრა პორტ-არტურიდან გავიდა, მთელს ქალაქს გამარჯვების იმედი მიეცა, მაგრამ ღამე დაინახეს, რომ ესკადრა ისევ დაბრუნდა და რეიდზე დადგა,—მტრისათვის ხმა არც-კი გაეცა. ყველას ძლიერ ეწყინა ეს ამბავი; ყველა ამბობდა, ადმირალი სკრიდლოვი რომ ყოფილიყო, უსათუოდ დაამარცხებდა იაპონელებსაო. („რ. ლ.“).

„ეკო დე პარი“-ს პეტერბურგელი კორესპონდენტი იუწყება: პეტერბურგში დღემდე გადაწყვეტილი არა აქვთ, ბალტიის ესკადრა როდის გაგზავნონ შორეულ აღმოსავლეთს. ამბობენ, იქნება ესკადრის პირველი ნაწილი—6 კრეისერი და 6 ნაღმიანი გემი—ივლისის პირველ ორ კვირაში გავიდეს ბალტიის ზღვიდანაო. რუსეთის სამდმირალოს იმედი აქვს, პორტ-არტური დიდ ხანს გაუმაგრდება მტერსაო; ამიტომ ბალტიის ესკადრის გაგზავნა მაგდენად საშური არაა; სჯობია გემები უკეთესად დავამზადოთ, კარგად გამოვცადოთ და მეზღვაურები გავავარჯიშოთ; აქვე დარწმუნებულნი უნდა ვიყვნეთ, რომ ესკადრა ბრძოლისათვის გამოდგებაო. („რ. ლ.“).

იაპონელებმა ტიურენჩენთან ბრძოლის დროს კარგი დავლა იშოვეს. იაპონური გაზ. „ძიძი“ სწერს, ეს სამხედრო

დავლა სამ ნაწილადაა გაყოფილი: 1. რუსის არმიის ნივთები ნამდვილ დავლად ითვლება, ესე იგი ომის შემდეგ რუსეთს არ დაუბრუნდება; 2. კერძო კაცების საკუთარი ნივთები, თუ ამ ნივთებზე რამე ნიშანია დადებული, ან პატრონის სახელი ან გვარი აწერია, ომის შემდეგ პატრონებს დაუბრუნდება; 3. წითელ ჯვრის ნივთები მთლად დაუბრუნდება რუსეთს. პირველ ჯურის დავლა დაუყოვნებლივ იაპონიაში იგზავნება, ზოგიერთი იარაღი იაპონიის ჯარმა მაშინვე გამოიყენა და მოიხმარა. ზარბაზნები ძლიერ გაეფუჭებინათ რუსებს, მაგრამ რამდენიმე ზარბაზანი მაინც გამოდგება სახმარებლად. რუსებს ან არა სდომებოდათ იმათი გაფუჭება, ან ვერ მოესწროთ და მხოლოდ ნაწილ-ნაწილად დაეშალათ და ჯაგებში დაემალათ. ჩვენ ეს ნაწილები შევკრიბეთ და რამდენიმე მთელი ზარბაზანი შევადგინეთ. ეტყობა, რუსებს მეტად სუფთად ჰქონიათ შენახული თავიანთი ზარბაზნები. ყველაფერს მშვენივრად, ლამაზად ლაპლაპი გაჰქონდა. სჩანს, რუსის არტილერისტსაც იაპონელ არტილერისტზე არა ნაკლებ ჰყვარებია თავის ზარბაზანი. („რ.“).

ტიურენჩენთან დატყვევებული შტაბს კაპიტანი რავა იაპონიიდან სწერს თავის ბიძას კიშინევში: 18 აპრილს ბრძოლის დროს ჩვენი კორპუსი დამარცხდა, მე-11 და მე-12 პოლკებს ხომ მეტად დიდი ზარალი მოუვიდათ. უკან დახევის დროს ჩვენი ბატალიონი თითქმის მთლად გასწყვიტეს. მე, მადლობა ღმერთს, სამგან მსუბუქად დამჭრეს და სამის კვირის წამლობის შემდეგ იაპონელების საავადმყოფოში სულ მოვრჩი. საავადმყოფოში მეცა და ყველა ჩვენ დაჭრილებსაც, იაპონიის იმპერიის სახელოდ, მეტად კარგად გვივლიდნენ და სამაგალითოდ გვწამლობდნენ, ამიტომ ჭრილობისაგან მეტად ცოტა გარდაიცვალა (მარტო 10 კაცი), დაჭრილი კი სულ 400 კაცი იყო. (რ. ლ.“).

„მატენ“-ის თანამშრომელს რუსეთის გზათა მინისტრი თავ. ხილკოვი უნახავს პეტერბურგში. გზათა მინისტრის აზრით, რუსების უმთავრეს ბაზად ეხლანდელ ომში ხარბინი იქნება. მანჯურიაში ყოფნის დროს, თავ. ხილკოვს გენ. კუროპატკინიც უნახავს ტიურენჩენთან ბრძოლის რამდენისამე დღის შემდეგ. მანჯურიის მხედრობის სარდალი ჯარის სიცოტავეს ჩიოდა, მაგრამ მას აქეთ ბევრი ჯარი მიუვიდა. გენ. კუროპატკინს საუბრის დროს გადაჭრით უთქვამს მინისტრისათვის, იაპონელები სამხრეთისაკენ ვერ გამიტყუებენ და იქ ხაფანგში ვერ მომიმწყვდევენო. („რ. ს.“).

„დეილი ტელეგრაფ“-ის კორესპონდენტი იუწყება: გენ. მა თავის ჯარით მანჯურიის საზღვარზე დგას. გენერალი მწარედ ჩივის, რუსის ჯარი მეტად ცუდად ექცევა ჩინელ სალდათებსაო. კორესპონდენტი ირწმუნება: გენერალმა მამ მიამბო, რუსები მდ. ლიაოს დასავლეთ ნაპირას, ნეიტრალურ ადგილას, მეტად ცუდად ექცეოდნენ ჩინელ სალდათებს, თოფსაც კი ესროდნენ ხოლმეო. რუსებს თითქო ეწადათ, რომ ჩინელებსაც პასუხი გაეცათ და ჩხუბი მოეხდინათო. ეხლა მეშინიან, ვაი თუ ამას იქით ჩემი სალდათები ველარ შევაყენოო. კორესპონდენტი უმატებს, გენერალმა მამ თავისი სარეზერვო ჯარიც მანჯურიის საზღვარზე დაიბარა ტუნჩოუდანაო. („პ. ვ.“).

იაპონელების პროკლამაცია. რუსულ სამხედრო გაზ. „ვესტნიკ მანჯურსკოი არმიი“-ში 6 ივნისს დაბეჭდილია იაპონელების პროკლამაცია. ეს პროკლამაცია იაპონელებმა ჩინურ ენაზე გამოსცეს და ქალ. ნიუჩუანში უმთავრეს ქუჩებზე გააკრეს. პროკლამაციაში სწერია:

„ვუცხადებთ ადგილობრივ ხალხს, რომ რუსებმა კარგა ხანია ძალით დაიჭირეს მანჯურია, ყველგან ჯარი ჩააყენეს, ხალხი შეაწუხეს და ჩინელი მოხელეები დაითხოვეს. ერთის სიტყვით, ყველაფერში ისე იქცეოდნენ, როგორც თითონ ჰნებავდათ და არავის არად აგდებდნენ. ყაჩაღებთან შეთქმულობა გამართეს და ვითომ რკინის გზის დასაცველად მანჯურიის სამი პროვინცია ხელში ჩაიგდეს. რადგან მანჯურია ჩინეთის იმპერატორის მამა-პაპის სამშობლოა, ამიტომ ჩინეთის ქვეშევრდომნი და მოხელეები ვერას დროს ვერ მოითმენენ რუსების ბატონობას ამ პროვინციაში. მანჯურია რომ რუსებს ჩაუვარდეს ხელში, განა კორეია-კი ასეთსავე განსაცდელში არ ჩავარდება? ჩვენი იაპონია იმნაირადაა გადაბმული კორეიასთან, როგორც ტუჩი კბილებთან, ამიტომ კორეიას არაფრის გულისათვის არ დავუთმობთ რუსეთს. რუს-ხელმწიფე დიდად გასწყრა და ბძანება გასცა, მანჯურიაში ჯარი გაიგზავნოსო. რუსის ჯარი და ფლოტი შორეულ აღმოსავლეთისაკენ გაემართა. იაპონელებმა თავიანთი მოვალეობა შეასრულეს და შემოსეულ მტერს ომი გამოუცხადეს. პირველად ჩემულპოსთან მტრის სამხედრო გემები გაუნადგურეს; მეორედ, პორტ-არტურთან ბევრი გემი დაუზიანეს. ჩვენი მამაცი და ქველი ჯარის-კაცები ვეფხვებივით იბრძვიან, ჩვენ ბაირაღ ქვეშ ბრძოლის რიგზე გამწკრივებული მოდიან და მტერს ყველგან თითქმის უბრძოლველად წინ მიერეკებიან. ამ ჟამად ჩვენმა ჯარმა კორეია გაიარა და ლიაოს ველამდე მოაღწია. ჩვენ ყოველთვის ისე ვექცევით ხალხსა, როგორც მოსიყვარულე დედა თავის შვილსა. ამ პროკლამაციიდან, ხალხო, შეგიძლიანთ გაიგოთ, რა კეთილია ჩვენი იმპერატორი. საკუთარი ყოველდღიური საქმე განაგრძეთ, ნურაფრისა ნუ გეშინიანთ. როცა კი ჩვენს ჯარს საქონელი, ცხენები, თივა, ხორბალი და სხვა რამ სურსათი დასჭირდება, დაუყოვნებლივ უნდა მოგვაშველოთ; ჩვენც ყველაფერშიაც ფასს მოგცემთ. თუ ვინმე რუსებს ჩვენის ჯარის ამბავს გააგებინებს, ან ჩვენს წინააღმდეგ იმოქმედებს როგორმე, სასტიკად დაისჯება. ეს ბძანება ყველამ აასრულოს“.

„ვესტნიკ მანჯურსკოი არმიი“ დაწვრილებით არჩევს ამ პროკლამაციას და მედგარ პასუხს აძლევს იაპონელებს. („რ. ს.“).

ადმირალ ტოგოს მოხსენება. უცხოეთის გაზეთებში ადმირალ ტოგოს ახალი მოხსენებაა დაბეჭდილი. ტოგო სწერს: 14 ივნისს ღამით ჩვენის ნაღმიან გემების მე-14 ფლოტილია კაპიტან იამადოს უფროსობით რუსის მოდარაჯე გემებს დაეცა პორტ-არტურთან. თუმცა რუსებმა პროჟექტორის სინათლეზე იაპონელები დაინახეს, ჩვენმა ნაღმიანმა გემებმა მაინც წრე შემოავლეს რუსის მოდარაჯე გემებს, ნაღმი ესროლეს და ერთი გემი ჩაძირეს. გემი რომ იძირებოდა, მაღლა წყლის სვეტი ამოვარდა; ალბად, თითონ გემზედაც აფეთქება მოხდა. ამ გემს ორი ძელი („მაჩტა“) ჰქონდა და სამი საკვამლე; ეს ან პირველ რანგის კრეისერი იქნებოდა, ან ჯავშნიანი გემი. ამას გარდა იაპონელებმა ერთი რუსის კონტრ-ნაღმიანი გემიც ჩაძირეს. დიდი მოდარაჯე გემი ზოლოტაია გორასთან ჩაიძირა. იაპონელებს ამ ბრძოლის დროს 1 აფიცერი და 13 მატროსი მოუკლეს და 2 მატროსი დაუჭრეს. რუსის ნაღმიანმა გემებმაც იერიში მიიტანეს, მაგრამ იაპონელებმა უკუ აქციესო.

ამნაირადაა გადმოცემული უცხოეთის გაზეთებში ადმირალ ტოგოს მოხსენება, მაგრამ არავინ იცის, სწორედაა გადმოცემული ეს მოხსენება, თუ არა. როგორც ვიცით, 10 ივნისს ბრძოლის თაობაზეც ადმირალ ტოგოს მოხსენება ნაირ-ნაირად იყო გადმოცემული უცხოეთის გაზეთებში. („ნ. ვ.“).

„ნოვოე ვრემია“ სწერს: ეს მოხსენება ადმირალ ტოგოს დაწერილი როდი ყოფილა; ვიღაცა ბოროტ-განზრახველთ შეუდგენიათ. გერმანული გაზ. „პოსტ“-ი ირწმუნება, ვენიდან საიმედო პირმა შეგვატყობინა, ეს მოხსენება განგებაა შეთხზულიო. ერთს მცოდნე პირს ტოკიოში ადმირალ ტოგოს ოფიციალური მოხსენება უნახავს და დარწმუნებულა, რომ გაზეთებში დაბეჭდილი მოხსენება სულ არა ჰგავს ადმ. ტოგოს ნამდვილ მოხსენებასაო.

საუბარი რუსის აფიცერთან. „ნოვოსტი დნია“-ს სამხედრო კორესპონდენტს ხარბინში ერთს რუსის აფიცერთან უსაუბრნია. აფიცერს უთქვამს: მთავარ-შტაბის აფიცერი ცოტა გვყავს. იაპონიის ჯარში მტრის დაზვერადაც-კი სულ მთავარ-შტაბის აფიცრები მიდიან.

— ერთი ამიხსენით, თუ ღმერთი გწამთ, რას ჰნიშნავს ისა, რომ იაპონელები შტიკს ერიდებიან? ეშინიანთ განა შტიკისა?

— შტიკი-კი [illegible] ბარემ მუშტა-კრივში გამოიწვიონ... მუშტი და შტიკი ჯერ კიდევ სევასტოპოლის ომის დროს გაფასდა... 50 წლის წინად! რა ეშმაკად უნდა შტიკი, როცა შეუძლიან შტიკის მოყვარულნი გაიტყუოს და მწყრებივით თოფით გასწყვიტოს? თითონ ცოტა უკან დაიწევს და მერე თოფს დაუშენს... აბა რა გითხრათ... ბევრი კარგი რამ გვასწავლა გენ. დრაგომიროვმა, მაგრამ შტიკის გაზვიადებისათვის-კი მადლობას არავინ ეტყვის: 50 წელიწადმა სულ ტყუილად ჩაიარა, ისე გაქრა, თითქო არა ყოფილიყოს. ათას წილად სჯობდა, თოფის სროლა ესწავლა ჩვენს ჯარს. მართალია სახელმწიფო კონტროლი ბევრს იწუწუნებდა, მაგრამ ეხლა-კი ყველანი გავიხარებდით... („ნ. ლ.“).

ახალი ამბავი

◆ 1905 წელს **ტფილისი** შემოსავალს **მოელის**: უძრავის ქონების გადასახადი—523,800 მან., სავაჭრო და სამრეწველო დაწესებულებათა გადასახადი—121,500 მან., ცხენებისა და ეტლების გადასახადი—41,400 მან., ქალაქის მამულების შემოსავალი—133,700 მან., წყლის მილისა და სხვა დაწესებულებათაგან შემოსავალი—518,750 მან., სხვა-და-სხვა წვრილმანი შემოსავალი და ქალაქის შემწეობად გადადებული ფული 166,558 მან. სულ—1,522,708 მან.

◆ **საფალავანდო მთის** მონაწილეებს განუზრახავთ ამ მთის გაყოფა. ხსენებული მთა მდებარეობს გორის მაზრაში და შეიცავს 40 ათას დესეტინამდე ადგილს. მთის გაყოფას კარგა ხანია მოწადინებულნი იყვნენ, მაგრამ დღემდე მონაწილენი ერთმანეთში მორიგებას ვერ ახერხებდნენ და საქმე ყოველთვის უსიამოვნებით თავდებოდა. 28 [illegible]ნისს სოფ. კნოლევში ყრილობა მოხდა მთის მონაწილეებისა. შეიკრიბა 100 მონაწილეზე მეტი. ყრილობამ დაადგინა ამოარჩიოს მედიატორებად ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი თავ. მელიქიშვილი, გორის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლი თავ. ბაგრატიონ-დავითიშვილი და პალატის წევრი ბ-ნი უთნელაშვილი. ამათ უნდა შეისწავლონ საბუთის ქაღალდები, ვამოარკვიონ

ფელეტონი

წერილები პარიზიდან

VIII

უთანხმოება რომის პაპსა და საფრანგეთს შორის.—მიზეზი და შედეგი ამ უთანხმოებისა.—ვინ დარჩება მოგებული?

უკანასკნელს ჟამს მომხდარ პოლიტიკურ ამბავთა შორის პირველი ადგილი უეჭველად უჭირავს უთანხმოებას, რომის უწმიდეს მამამთავარსა და საფრანგეთის რესპუბლიკას შორის მომხდარს, უთანხმოებას, რომელსაც ადვილად შესაძლებელია მოჰყვეს შეწყვეტა ძველის კავშირისა პეტრე მოციქულის მოადგილესა და კათოლიკე საფრანგეთს შორის. მით უფრო მოსალოდნელია ეს განშორება, რომ უთანხმოების ჩამომგდები მიზეზი დაჰბადა იმ წმიდა ტახტზე მჯდომარემ, რომლისაგან მოსალოდნელი უნდა ყოფილიყო მარტოოდენ მშვიდობა და თანხმობა.

დიდი ხანია, რაც მონათესავე ხალხი საფრანგეთისა და იტალიისა დაახლოვებას და მეგობრობას ცდილობენ, დიდი ხანია მოკითხვასა და ნახვის ნატვრას უთვლიან ერთმანერთს. და შარშან ამ დიდის ხნის ნატვრას ეწივნენ კიდეც. პირველად იტალიის გვირგვინოსანნი ეწვივნენ საფრანგეთის რესპუბლიკის მეთაურს. ზრდილობის ელემენტარული წესი მოითხოვდა, რომ საფრანგეთის პრეზიდენტს თავის მხრივაც ენახა იტალიის მეფე და დარბაზობა გადაეხადნა. სასაცილო იქნებოდა, რომ გაწმინდაკებულ ზრდილობის მქონე ფრანგისათვის ვისმე მოეგონებინა ზრდილობის ეს კანონი!

მაგრამ სანამ ლუბე იტალიაში გაემგზავრებოდა, საფრანგეთის მთავრობა კათოლიკე ეკკლესიათა მთავარს დაეკითხა: რესპუბლიკის პრეზიდენტის მოსვლა რომში, იტალიის მეფის სანახავად, ხომ არ გეწყინებათო? დიახაც,—პასუხად შემოუთვალა პაპმა,—შეურაცხყოფად და დიდ შეურაცხყოფადაც ჩავთვლი, რომ კათოლიკე სახელმწიფოს მეთაური სადარბაზოდ ეწვიოს რომში იტალიის მეფეს, რომელმაც ესდენ შეზღუდა და შეჰკვეცა ჩემნი სახორციელო უფლებანიო. მაგრამ საფრანგეთის მთავრობისათვის საჭირო იყო დაემტკიცებინა თავისი დამოუკიდებლობა, თავისი დემოკრატიული მიმართულება და მიუხედავად ვატიკანის მუქარისა და წინააღმდეგობისა... ლუბე ამ აპრილის თვეში იტალიას გაემგზავრა. გაზეთებიდან უკვე ვიცით, თუ რა აღტაცებით დაუხვდა იტალიის ხალხი საფრანგეთის წარმომადგენელს, რომ ამით საძირკველი ჩაეყარა საფრანგეთისა და იტალიის მომავალ დაკავშირების საქმისათვის. და ყოველივე ესე ხდებოდა იტალიის დედა-ქალაქში, წმინდა ტახტის გვერდით, პაპის ცხვირ-წინ, თითქო სახორციელო მთავრობა სასულიერო მთავრობას ნიშნს უგებდაო...

ნეტავ რად იყო წმინდა ტახტი წინააღმდეგი რომში ლუბეს მისვლის, რად უნდა შეურაცხეყო პეტრეს მოადგილე ამ დარბაზობას? სად უნდა ვეძიოთ დასაბამი ამ „ახირებულის პრეტენზიისა“?

მართალია, ვენის ტრაქტატმა 1815 წელს დაუბრუნა პაპობას საერო უფლებანი, გარნა მეორე ნახევარი იმავე მეცხრამეტე საუკუნისა საბედისწეროდ შეიქმნა პაპობისათვის. 1867 წ. გაერთიანებულმა იტალიამ დაიპყრო მისნი პროვინციანი, ხოლო 1870 წელს იმათს გაერთიანებულ იტალიის მეფემ ვიტტორიო ემანუელმა ხელთ იგდო თვით რომიცა. საფრანგეთის კათოლიკეთა და წმ. ტახტის პროტესტმა ფუჭად ჩაიარა. დიახ, პაპს ამ დღიდან ჩამოერთვა უფლებანი, მაგრამ ჩამოერთვა მხოლოდ სახორციელო, საქაო უფლებანი, სასულიერო უფლებანი კი კათოლიკეთა ქვეყნებში ისევ შერჩა. კათოლიკენი მთელის ქვეყნისა მას მორჩილობენ, მის უზენაესობას და უცოდველობას აღიარებენ, სასულიერო საქმეებში მის დაუკითხავად არაფერსა ჰშვრებიან. ყველაფერში მისი დასტური უნდა აიღონ. თვით სახელმწიფონი და მთავრობანი თავიანთს წარმომადგენლებსა ჰგზავნიან ხოლმე პაპის წინაშე და ამ უკანასკნელსაც თვისი ნუნციები (ელჩები) ჰყავს ყველგან.

დიდი, თითქმის უსაზღვრო იყო პაპათა გავლენა საფრანგეთში. ამ ქვეყნისებრ ერთგული მოსამსახურე რომს არა ჰყოლია. და კიდევაც ამიტომ ეწოდა საფრანგეთს La fille aînèe de l' Eglise ე. ი. უფროსი ქალი ეკკლესიისა (იგულისხმე წმიდა კათოლიკე ეკკლესია რომისა). მაგალითი არა ყოფილა, რომ როცა კი დასჭირდებოდა პაპს, საფრანგეთს დახმარება არ გაეწიოს. ფრანგები იმდენად იყვნენ დაბრმავებულნი ამ ერთგულებით, რომ ხშირად პაპობის ინტერესებს თავიანთის ქვეყნის ბედ-იღბალსაც კი ანაცვლებდნენ ხოლმე. 1869 წელს იტალიის ერი ფრიად მოწადინებული იყო საფრანგეთს დაჰმეგობრებოდა, ავსტრიასთან ერთად სამთა-კავშირი შეექმნათ და ამნაირად ორსავე სახელმწიფოს თავიდან აეშორებინა მოსალოდნელი თავგასულობა და ომი გერმანელთა. იტალიის ელჩმა კავალერმა ნოგრამ ამის შესახებ მოლაპარაკება გაჰმართა ნაპოლეონ მე-III-სთან. მაგრამ ამ მოლაპარაკებას სასურველი შედეგი არ მოჰყოლია, 1870 წელს თითქმის ყოველივე მზად იყო ხელ-შეკრულებისათვის. ივლისში ფრანკ-გერმანელთა ომი გამოცხადდა. პირობის ქაღალდი ნაპოლეონისაგან მაინც ხელ-მოუწერელი იყო. 3 აგვისტოს ნაპოლეონს ქაღალდი ხელის მოსაწერად წარუდგინეს, მაგრამ უარი სთქვა. პირობის ქაღალდში, სხვათა შორის, ისეთი მუხლი იყო, რომელიც საფრანგეთს უნდა აესრულებინა. სახელდობ ისა, რომ საფრანგეთის მთავრობას რომიდან თავისი ჯარი, პაპის გამოსაქომაგებლად გაგზავნილი, უნდა გამოეყვანა. ნაპოლეონი იმის მაგიერ, რომ საფრანგეთის ხსნისათვის ეზრუნა, იმის მაგიერ, რომ იტალიელნი დაეახლოვებინა პრუსიელთა წინააღმდეგ გამართულს ომში, ერთის სიტყვით, იმის მაგიერ, რომ მოქცეულიყო როგორც ნამდვილი პატრონი თავისის ხალხისა, მოიქცა როგორც მორწმუნე კათოლიკე, ყურ-მოჭრილი მონა პაპისა და უგულადის შეუნდობლობით აჰყვა კლერიკალთა ფეხის ხმას, ფეხის ხმას იმ კლერიკალთა, რომელნიც ხმა-მაღლა და თამამად იძახდნენ: „გვირჩევნია პრუსიელნი შემოვიდნენ პარიზში, ვიდრე იტალიელნი რომშიო“.

ამნაირად, იტალიისა და საფრანგეთის დაკავშირების საქმე ჩაიფუშა ფრანგები მარტონი დარჩნენ პრუსიელთა წინააღმდეგ, შველას არსაით და არავისაგან მოელოდნენ. დამარცხება დამარცხებას მოსდევდა. საფრანგეთმა ბარემ იგბინა [illegible], მაგრამ წამხდარს საქმეს ამით მაინც ვერა არგო. იტალიის დამეგობრების შესახებ [illegible] გვიან-ღა იყო. ყოველივე იმით გათავდა, [illegible] საფრანგეთს ორი პროვინცია, ალზასი და ლორენი, გულიდან მოჰგლიჯეს. აი სანამდე მიიყვანეს საფრანგეთი კათოლიკეთა! აი რად დაუჯდა ამ ქვეყანას პაპის ყმობა!

გარნა საფრანგეთში კლერიკალთა არც მათის ქვეყნის დამარცხებამ აუხილა თვალები, სინდისის მხილება არც ამ დამარცხებამ და შერცხვენამ განაცდევინა. ჯერ ისევ ადამიანთა ლეშით იყო დაფარული ბრძოლის ველი; ჯერ ისევ ადამიანის

მონაწილეთა უფლებანი და შემდეგ გაჰყონ მათ.

◆ როგორც ტირძნისიდან გვატყობინებენ, 30 ივნისს ამ სოფელში **მოუკლავთ გორის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლად** ნამყოფი ი. დ. სულხანიშვილი. ი. სულხანიშვილსა და ალექსანდრე ეგაძეს დიდი ხანია დავა ჰქონიათ თურმე მამულების საზღვრის თაობაზე. 30 ივლისს ტირძნისში ჩხუბი მოსვლიათ, რომლის დროსაც ეგაძეს ხანჯალი ჩაუცია სულხანიშვილისთვის და იქვე მოუკლავს.

◆ **ს. ბ. თოფურიას გარდაცვალების** გამო ქუთაისის ქალაქის მოურავს ბევრი სამძიმრის დეპეშა მიუღია. სხვათა შორის, დეპეშები გამოუგზავნიათ პეტერბურგის ქართველ სტუდენტებს, პრინცს ალ. პ. ოლდენბურგელს (გაგრიდან), პრინცს კონ. პ. ოლდენბურგელს (ნიცციდან) და სხვებს. ჩვენმა რედაქციამ მიიღო სამგლოვიარო დეპეშა სარაყამიშის ქართველთაგან. ამას გარდა, როგორც ჯურუყვეთიდან დეპეშითვე გვწერენ, 30 ივნისს იქ პანაშვიდი გადაუხდიათ განსვენებულ სამსონ თოფურიას სულის მოსახსენებლად.

◆ **ხოლერასთან საპრძოლველად** სასანიტარო ექიმებად ჩარიცხვის სურვილი განუცხადეს ტფილისის სასანიტარო კომისიას ექიმებმა ი. ი. გოკიელოვმა, შახ-აზიზოვმა, საათსაზოვმა, ელჩოვმა, კრინსკიმ, ალადაშვილმა, გირცელმა და სხვებმა.

◆ 30 ივნისს, დილის $9^1/_2$ საათზე, ბათუმში მეარტელე სმირნოვმა განუცხადა სადგურის უფროსს, რომ დაკეტილ კასსიდან ვიღაც **ქურდებმა მოჰპარეს** 29 ივნისს მოკრებილი ფული. როდესაც დაათვალიერეს კასსა, ყველაფერი წეს-რიგზე აღმოჩნდა. კასსაში არ აღმოჩნდა 3,562 მან. 86 კ. მეარტელე დააპატიმრეს.

◆ 29 ივნისს განსაკუთრებულმა კომისიამ, რომელშიაც იყვნენ პირველ ნაწილის მირაპი, სასანიტარო-სამკურნალო ინსპექტორი და სხვები, დაათვალიერა მიხეილის პროსპექტზე **„ნემეცების“ არხი.** არხი მეტად ანტისანიტარულ მდგომარეობაში აღმოჩნდა. კომისიამ დაავალა ორს კაცს, ექიმსა და ტეხნიკოსს, შეიმუშაონ მოხსენება იმ საშუალებათა შესახებ, რომელთა მიღებაც საჭიროა არხის გასასუფთავებლად.

◆ ტფილისის ქალაქის სასანიტარო კომისიას ხმოსნებმა ა. ს. ბაბოვმა, ექიმმა ვაწაძემ, ხრამულაშვილმა და კრაქურთვმა განუცხადეს, მზადა ვართ დახმარება გაგიწიოთო.

◆ ტფილისის ქალაქის გამგეობამ 30 ივნისს დაამტკიცა კუკიისა და ავლაბრის მიწების გამგე კომისიის დადგენილებანი. ერთი დადგენილება შეეხება ნავთლუღში ქალაქის მიწებისთვის საზღვრების გაკეთებას, რათა ადგილი არავინ მიითვისოს, მეორე დადგენილება—მიწების გამგეობად ორის კაცის მოწვევას, რომელთაც სამოცსამოცი თუმანი უნდა მიეცეთ ჯამაგირად წელიწადში.

◆ პოლიციის მე-5 ნაწილში, შალამოვის სანთლის ქარხანაში 29 ივნისს შალამოვთან მისულა ორი უცნობი კაცი, მიუტანიათ ნიმუშათ ფიჭა და უთქვამთ, 1100 მანეთის ფიჭა გვაქვს გასასყიდი წმინდა სანთლისთვის და, თუ ისურვებთ, მოგიტანთო. მორიგების შემდეგ უცნობთ უთქვამთ, მზად იქონიეთ ფული და, ფიჭას ხვალ მოგიტანთო. 30 ივნისს, საღამოთი, შესულან ხელ-მეორედ უცნობნი და როცა შალამოვს ფული გადაუთვლია, იმათ განუცხადებიათ, კაცი გამოგვატანეთ რიყეზე და ფიჭას იქიდან გამოგზავნითო. შალამოვს ფული ტოლის ყუთში ჩაუდვია, ყუთი დაუკეტელი დაუტოვებია და თითონ ქუჩაში გასულა მუშის დასაძახებლად. როცა შალამოვი შებრუნებულა, უნახავს, რომ „ვაჟრებს“ იმისი 1100 მან. ყუთიდან ამოუღიათ და სადღაც გამქრალან. ქურდები ჯერ ვერ აღმოაჩინეს.

◆ ბებუთოვის ქუჩაზე, სიმონიანცის სახლში, 29 ივნისს უეცრად გარდაიცვალა ერთი მობინადრე გრიგოლ ტერ-მათეოსოვი.

რუსეთის ქრონიკა

◆ ციმბირის ქალაქ კოლიმიდან სწერენ გაზ. „ვოსტ. ობოზრენ.“-ს: „უკვე 5 წელიწადია, რაც ციმბირში მომრიგებელი სასამართლოები შემოიღეს, ქალაქ კოლიმს კი ჯერ-ჯერობით არ ჰღირსებია არც ერთი მომრიგებელი მოსამართლე, რომლის თანამდებობას წინანდელ წესით პოლიციის მოხელე მაზრის უფროსი ასრულებს“.

◆ სარატოვის სასულიერო ჟურნალში, „სარატ. ეპარქ. ვედ.“-ში დაბეჭდილია შემდეგი საინტერესო ცნობა „ვოლსკის სასულიერო სასწავლებლის საბჭომ განიხილა წინადადება სასწავლებლის ეკონომისათვის 200 მან.,—სადილის ფულის დანიშნვის შესახებ და გადასწყვიტა ფულის მაგიერ აძლიონ სადილი ეკონომსა და მის ოჯახს, მხოლოდ აუკრძალონ სადილის ძლევა თავის ნათესავებისა და მდგმურებისათვის“. საბჭოს დადგენილებას ხელი მოაწერა სარატოვის ეპისკოპოსმა გერმოგენმა და დასძინა, რომ სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველმა თვალყური უნდა ადევნოს ეკონომის ყოფაქცევას.

◆ უმართ. სენატმა განმარტა, რომ სასჯელ-გარდახდილ გადასახლებულთ არ უნდა ჩაუწერონ პასპორტებში, რომ იმათ აკრძალული აქვთ ცხოვრება სატახტო ქალაქებსა და სატახტო ქალაქების გუბერნიებში.

◆ უმაღლესის ბრძანებით შეცვლილია არსებული წეს-რიგი ქალაქის გამგეობათა და კერძო პირთა შორის ხელ-შეკრულობის დადების შესახებ.

თუ კერძო პირებზე გადაცემულ სამუშაოს ხარჯი აღემატება 500 მან. და ნაშენობით სარგებლობის ვადა—12 წელიწადს, საჭიროა ამ ხელ-შეკრულებათა სინამდვილისათვის ხმოსანთა რიცხვის არა ნაკლებ $^2/_3$-ის თანხმობა, იმ შემთხვევაში, თუ ხმოსანთა საერთო რიცხვა 40 კაცს არ აღემატება; და თუ ხმოსანთა რიცხვი 40 კაცს აღემატება—ამ რიცხვის არა ნაკლებ $^1/_2$-სა უნდა გამოაცხადოს თანხმობა.

◆ 24 ივნისს პეტერბურგში ზარბაზნების გამოცდის დროს ერთ ზარბაზანს კლიტე ამოვარდნია. ერთი სალდათი სასიკვდილოდ დაიჭრა და სამი მძიმედაა დაჭრილი.

◆ გზათა სამინისტროს მიერ გამოქვეყნებულის ცნობებით, 1900 წელს 14,562 ვერსის მანძილზე ყოფილა მთელ რუსეთში გაყვანილი გზა-ტკეცილები.

◆ პეტერბურგის ქალაქის გამგეობამ გამოაქვეყნა ცნობები სატახტო ქალაქის მცხოვრებთა რაოდენობის შესახებ. ორივე სქესის მცხოვრები პეტერბურგში განაპირა უბნებით 1 მილიონი და 555 ათასი კაცი ყოფილა.

თეატრი

სოფ. დილომი. 27 ივნისს შემთხვევით დავესწარით ს. დილომში გამართულ ქართულ წარმოდგენას „უაზად არსენას“ ა. ცაგარლისა და უნებლიეთ გაგვახსენდა მწერალ კრილოვის სიტყვები: „უბედურობაა, როცა წაღების კერვას მეპურე ჰკიდებს ხელს და პურის ცხობას კიდევ—მეწაღეო“. მკითხველმა არ იფიქროს, რომ ამით მეტისმეტს ვთხოულობდე სცენის მოყვარეთაგან; პირიქით, გათვალისწინებული მაქვს ის არა იშვიათი, ზოგგან აუცილებელი ნაკლი, რაიცა თანა სდევს სოფლებში გამართულ წარმოდგენებს. მაგრამ ასეთი გათახსირება, დამახინჯება და გამასხარავება როგორც პიესისა, ისე დამსწრე საზოგადოებისა, არა თუ არ გვინახავს, არც გაგვიგონია. ამასთანავე პატიოსან სიტყვით გარწმუნებ წარმოდგენის გამმართველთ, რომ არც ერთ მათგანის შორიდანაც კი არა მაქვს ცნობა*) და ამიტომ გულწრფელობის მეტი არავითარი ქვენა გრძნობა არ მალაპარაკებს. თქვე დალოცვილებო, ვინც კი ქართულად ლაპარაკი იცის და ისიც დამახინჯებული, განა შეიძლება ყველა მათგანის სცენაზე გამოსვლა? დავიჯერო არ გესმით, რომ ამ გვარ მასხარაობით სახელს უტეხავთ და დიდის ხნით აფერხებთ იმ ხელოვნებას, რომლის აზრიცაა, სხვათა შორის, ხალხის გათვითცნობიერება, ფხიზელის თვალით გასჯა ცხოვრების პირობებისა და სხ. მკითხველი, უეჭველია, დაწვრილებით ანგარიშს არ მოგვთხოვს ამ, როგორც აქ დამსწრე გლეხმა სთქვა, „ბერიკობას“ თამაშისას, ვიტყვით მხოლოდ, რომ ჯერ ერთი—დაიწყეს მაშინ (თერთმეტ საათის 15 წამზე), როცა უნდა უკვე თავდებოდეს საზოგადოდ სახალხო წარმოდგენა. ეს კიდევ არაფერი, ვაპატიოთ ისიც, რომ არცერთმა თავისი როლი არ იცოდა და ყველა ერთად შეჯგუფული, სცდილობდა თითქმის ყური მიედო სტოლ ქვეშ შემჯდარ სუფლიორის ტუჩებისთვის. ასევე თითქმის არც ერთმა მოთამაშემ არ იცოდა სად დამდგარიყო, რა დროს ვის რა ეთქვა და ამიტომაც არა იშვიათად ორი სამი მოთამაშე ერთად იმეორებდა დატანჯულ სუფლიორის სიტყვებს, ან ყველა გაჩუმდებოდა, უაზროდ აბეცებდა თვალებს და ნიშნით ერთმანეთს სთავაზობდა სუფლიორის სიტყვებს. სიტყვა რომ არ გაგვიგრძელდეს, მოგახსენებთ მხოლოდ, რომ მართლაც რკინის ნერვები, თუჯის თავი და დიდი სიგმირე იყო საჭირო, რომ ეს, უკაცრავი პასუხია, „წარმოდგენა“ ბოლომდე მოგესმინათ და რადგან თქვენი უმორჩილესი მონა მაგ ღირსებებს მოკლებულია, იძულებული ვიყავ, ზოგიერთებთან ერთად, მიმეტოვებინა მეორე მოქმედების დასაწყისშივე, დაღონებული იმ ფიქრით, რომ ეს ხდება ტფილისზე სულ რვაოდე ვერსით მოშორებულ ხუთას კომლიან სოფელში...

გ. ახალციხელი

---

*) ადგილობრივ მცხოვრებთაც ვკითხე და არც იმათ იცოდნენ მოთამაშეთა ვინაობა: „ქალაქიდან ჩამოვიდნენო“.

წ ე რ ი ლ ე ბ ი

თელავი. თელავი ზაფხულობით სააგარაკო ადგილად გადაიქცევა ხოლმე. რაკი ზაფხულმა მოატანა, მოსწავლე ახალგაზრდობასთან ერთად, რომელნიც ზაფხულობით შინ ბრუნდებიან, მოვიდნენ უცხო პირნიც. თითქმის მაისის ნახევრიდან ყოველ დღე 4—8 ომნიბუსი შემოდის თელავში, ეტლები სხვა არის. ეხლა-კი თელავი აჟიჟინდა, მოძრაობა დაეტყო, ქუჩები ამხიარულდა, მიმკვდარებული ბულვარიც გამობრუნდა და საერთო სიცოცხლის ნიშან-წყალი დაეტყო. თელავში ბევრია სასეირნო ადგილი, ტყეც ახლოა, გათქმული ნადიკვარიც და ზუზუმბოც. ეს უკანასკნელი ადგილი თუმცა მოშორებითაა, მაგრამ ვერაფერი შეედრება. იმის გარდა, რომ თელავს თავს დაჰყურებს, კახეთის მიდამოები ხელის გულივით მოჩანს ალაზნის აპრელებულ და მიმზიდველ ველით. მოსეირნეთ ყველა ესენი უკუ აგდეს და მხოლოდ ბულვარზე მიიტანეს იერიში. ეს, ჯერ ერთი, უფრო ახლოაო და მეორე კიდევ-ზედ აკრავს კლუბიც, სადაც ბილიარდი და რესტორანია. სეირნობენ დილით, შუადღისას, საღამოთი და ღამე. მოსეირნეთ რაკი ბულვარი სეირნობის ბაზისად გაიხადეს, ბაღის მზრუნველთაც პოზიცია გაამაგრეს. მშვენიერი ბალახი მოთიბეს და ეკლიანი მავთული შემოარტყეს. ყველაფერს შეეჩვივნენ მოსეირნენი, მხოლოდ უჩიოდნენ, ამდენის მტვერის ყლაპვით ყელი ამოგვეხლანწაო. არ ვიცი, თელავის პატრონებამდე მიაღწია ამ ჩივილმა თუ თვითონ იგრძნეს, მხოლოდ 27 ივნისს, როგორც იყო, მორწყეს. მორწყვამ მთელი თელავის ყურადღება მიიქცია და მეც იმისთვის ვაუწყებ მკითხველთ. მორწყეს იმ მანქანით, რომლითაც შარშან, სომხის ეკკლესიის შენობის დაწვის დროს, უნდოდათ ცეცხლი ჩაექროთ, მაგრამ გაფუჭებული აღმოჩნდა. სწორედ იმ დროს დაუწყეს რწყვა, როცა ხალხი დასეირნობდა—11 საათზე. ბევრი მათგანი გაწუწეს-კიდეც, ე. ი. მორწყეს ხეივნები, სკამები, ფარნები,

---

სისხლი ტბორებად იდგა საფრანგეთის მიწაზე; ჯერ კიდევ საფრანგეთი 5 მილიარდის შოვნაში იყო, გამარჯვებულმა მტერმა სამხედრო კონტრიბუციად რომ დაადო; ჯერ კიდევ არ გასულიყო მტერი საფრანგეთიდან, რომ საფრანგეთის ეპისკოპოსნი თხოვნასა სწერდნენ: საფრანგეთი პაპის სასარგებლოდ უნდა გაერიოს საქმეშიო და 1871 წელს 22 ივლისს ნაციონალურს კრებაზე კლერიკალმა პაჟომ საჯაროდ განაცხადა: საფრანგეთმა, მართალია, დიდი უბედურება განიცადა, გარნა სახელი და ღირსება ავალებს წმ. მამის სასარგებლოდ გაერიოსო!.. გამბეტა მთელის თავისის ძალღონით ეურჩა ამ კადნიერს წინადადებას, მაგრამ რეაქციონერთა კრებამ მაინც თავისი გაიტანა და მხარი დაუჭირა ეპისკოპოსთა თხოვნას. და სწორედ იმ დღეს იტალია სამთა კავშირის წევრი ხდებოდა!..

1870 წ., როგორცა ვსთქვით, გაერთიანებულმა იტალიამ პაპობას ფრთები შეკვეცა, სასულიერო საქმეთა გამგეობა-და შეარჩინა. განრისხებულმა პაპამ, სხვა რო ვერა მოახერხა-რა, შეაჩვენა ურჩი მთავრობა იტალიისა და იმავე დროს დასწყევლა ყველა კათოლიკე სახელმწიფოთა უფროსნი, ვინც მის დაუკითხავად და უმისლოცვაკურთხევოდ ოფიციალურად რომში მოვიდოდა იტალიის მეფის სანახავად.

ლუბეს იტალიის მეფის დარბაზობა ემართა, ის გადახდა უნდოდა. და ისიც წავიდა რომში. განრისხდა ვატიკანი,—შეურაცხგვყვეს, აშკარად ამოგვდესო! გადასწყვიტა ჯავრი ეყარა, კადნიერი პრეზიდენტი იმ რესპუბლიკისა, საიდანაც კონგრეგაციები განდევნეს, დაეტუქსა. და აჰა, წმ. ტახტის მდივანი კარდინალი მერი დე-ვალი სხვადასხვა სახელმწიფოთა წარმომადგენელთ ნოტას უგზავნის ლუბეს დარბაზობის შესახებ.

ხსენებული ნოტა პირველად ჟორესის გაზეთმა გამოაქვეყნა. ჩემს ენერგიულს პროტესტს ვაცხადებ,—ამბობს პაპა ამ ნოტაში,—საფრანგეთის პრეზიდენტის ლუბეს წინააღმდეგ, რომელმაც აბუჩად აიგდო წმ. ტახტი და მისს შეურაცხსაყოფად რომში იტალიის მეფეს ეწვია. დაივიწყა ყოველი რიდი და პატივისცემა, წმ. ტახტის მიმართ რომ უნდა ჰქონოდა, დაივიწყა ის კავშირი, რომელიც ჩვენ გვაერთებს, დაივიწყა ჩემი უარი, აქედან რომ შევუთვალეო. მეურჩა ურჩი შვილი, მაგრამ ურჩობისათვის ვსჯი კიდეცაო.

ადვილად წარმოსადგენია, თუ რა რიგ ააშფოთებდა ფრანგებს ასეთი წერილი პაპისა! ადვილად წარმოსადგენია ისიც, თუ რა რიგ ააშფოთებდა ყველას პაპის მიერ საფრანგეთის საგარეო პოლიტიკაში ასე უბოდიშოდ გარევა! პაპის საქციელი აქ ყველას ომის გამომწვევ ნიშნად ეჩვენა, და თუ ომს გვიცხადებს, არც მაგაზე ვაწყენინებთო.

პაპა თავისს წერილში მარტო ლუბეს კი არა ჰკიცხავს; ჰკიცხავს იტალიის მეფესაც: ლუბე განგებ მოიწვია რომში, რომ ამით დაემდაბლებინა პაპობა, სხვათა თვალში სახელი გაეტეხნაო. ერთის სიტყვით, წმ. ტახტი ომს უცხადებს ორსავე სახელმწიფოს სწორედ იმ დროს, როცა ერთმანერთს უნდა დაუახლოვდნენ, დაუმეგობრდნენ. ფრანგები ამბობენ, რა-კი მაგრეა, საჭიროა მოვსპოთ პაპობასთან ყოველი კავშირი, მისი მზრუნველობა თავიდან მოვიშოროთ. ამას მოითხოვს საჭიროება ჩვენის შინაურის თავისუფალ განვითარებისა, ჩვენი წარმატება, ჩვენი ნაციონალური თვითმოყვარეობაო. თუ ამაზე ხმა არ ამოვიღეთ, ქვეყნის თვალში დავცინილდებით, პატივი აგვეყრებაო. ყოველსავე ამას ის მოჰყვა, რომ საფრანგეთის მთავრობამ თავისი ელჩი ნიზარი, ვატიკანის წინაშე მყოფი, საფრანგეთში გაიხმო. ეს იყო პირველი ნაბიჯი სამაგიერო პროტესტისა საფრანგეთის მხრივ.

რომში ორომ-ტრიალი ასტყდა, ამბობენ, პაპმა პიო X-მ თითზე იკბინაო. სხვა რო ვერა მოახერხეს რა, ნოტის შემდგენელს კარდინალს მერი დე-ვალს მოახვიეს თავზე ყოველივე ბრალი,—ასე თავშეუკავებელი სიტყვები არ უნდა ეხმარნაო, მეტად წინდაუხედველად მოიქცაო. იმასაც ამბობენ, რომ მერი დე-ვალი ასე იმიტომ მოიქცა, რომ სურდა ეამებინა გერმანიის მეფისათვის, რომელიც წინააღმდეგი იყო კარდინალ რომპოლას (საფრანგეთის კანდიდატი) პაპობისა და რომელიც მხარს უჭერდა ახლანდელს პიო X-საო. კარდინალ მერი დე-ვალს ვითომ კიდეც დაეკვეხნოს და ეთქვას მეფე ვილიომისათვის, რომელიც ნაწყენი იყო იტალიაში ლუბეს მოგზაურობით: მე გაჩვენებთ, რა საქმე დავმართო ამ რესპუბლიკელ ფრანგთაო!

ამნაირად, ჯერ-ჯერობით საფრანგეთსა და ვატიკანს შორის შეწყვეტილია დიპლომატიური დამოკიდებულება. ფრანგები მოხარულნი არიან ამ გარემოებით, რადგან დარწმუნებულნი არიან, რომ ეს გარემოება ხელს შეუწყობს უფრო მალე და უფრო ადვილად განახორციელონ თავიანთი დიდიხნითგანვე განზრახული საქმე: ჩამოაშორონ ეკკლესია სახელმწიფოს, ქვეყანა სამუდამოდ იხსნან კლერიკალიზმის ბასრ კლანჭებისაგან და გაერისკაცებული საფრანგეთი კვლავ გახადონ სხვა ქვეყანათა წინამძღვრად და გზის მაჩვენებლად.

პაპობა რას მოიგებს აქედან, ან მოიგებს კია რასმე? არაფერს. წმ. ტახტს არა ერთხელ უგრძნობინებია საფრანგეთისათვის—შენთან კავშირის გაწყვეტა მწადიანო, მხოლოდ ხელჩასაჭიდს მიზეზს ეძებდა. ყველანი: ასომპსიონისტები, იეზუიტები, ფრანცისკანები ხელს უწყობდნენ ვატიკანს—ჯავრი ეყარათ რესპუბლიკანელებზე, რომელთაც ასეთი იერიში მიიტანეს კონგრეგაციებზე. კარდინალ მერი დე-ვალის ნოტით ვითომ სირცხვილი აჭამეს რესპუბლიკას, ვითომ სამარე გაუთხარეს! ის კი არა თუ თვითონ შთაცვივდნენ მათს მიერვე გათხრილ სამარეში. კლერიკალთა მთავარ ზრუნვის საგანს ქონებრივი კეთილდღეობა შეადგენდა. თუ კი ეკკლესია სახელმწიფოს ჩამოეცალა, მაშინ გაუქმდება სარწმუნოების ბიუჯეტიც. საფრანგეთის სამღვდელოება იძულებული იქმნება მორწმუნეთა ნაწყალობევით მოიბრუნოს ხოლმე სული, დასჯერდეს კულტის საჭიროებათათვის გადადებულ სუბსიდიას, რომლითაც იკვებებოდა ეგრედ წოდებული წმ. პეტრეს ულაბი, ანუ სალარო ვატიკანისა. მეორეს მხრით უნდა გავიხსენოთ ისიც, რომ ასომპსიონისტებს, შარტრის ბერებს წაერთვათ თავიანთი მთავარი წყარო სიმდიდრისა: აკრძალული აქვთ მლოცავთ სიარული მათს მონასტრებში და წართმეული აქვთ უფლება მაგარ სასმლების კეთებისა. კვლავ არ შეუძლიათ აქედან აღებული ფული უხვად უგზავნონ ხოლმე პაპასა.

პაპა პიო X-სა ჰგონია, საფრანგეთს ყელი გამოვჭერიო, ის კი არა თუ თავის ჯობეს დაავლო, თვისნი დღენი დაითვალა. მერე უფრო მძლავრად იკბენს თითზე, მაგრამ გვიან-და იქმნება,—წასულს საქმეს ვერ გამოაბრუნებს...

თ. ს.

ხეები და ხალხი. ამის და მიუხედავად მოსეირნენი კმაყოფილნი არიან თურმე ამ დღისა, ქვიშას ჯანი გაჰვარდეს, მტვერი ხომ აღარ იქნებაო, მხოლოდ ეგ არის მთელ ზაფხულში ვაი თუ მარტო ერთხელ მორწყონო. **დიმიტრაშვილი.**

—

დ. ხონი. მოგეხსენებათ, ჩვენში მეაბრეშუმობას დიდი ადგილი უჭირავს, ეს ფრიად სასარგებლო დარგი მეურნეობისა დიდ დახმარებას უწევს ხალხს. თვითეული ოჯახი ორთა შუა რიცხვით 50—80 მანეთის აბრეშუმს იწევს ყოველ წლობით და ეს თანხა, რასაკვირველია, ბევრ წყლულს განუკურნებს ღარიბ მეოჯახეს. წასულ წელს შედარებით კარგი ფასი ჰქონდა აბრეშუმს (19 მან.). ამით წაქეზებულებმა წელს ორჯელ მეტი აბრეშუმის თესლი შეიძინეს, მაგრამ იმედი გაუცრუვდათ. ნოტიო და ცივ გაზაფხულის გამო აბრეშუმის მოსავალი მეტად მცირე იყო. ამან თქვენი ჭირი წაიღოს, ხეირიან ფასს მაინც რომ იძლეოდნენ. კვლავინდებურად ფულიანები ჩამოვიდნენ და პირველად თორმეტ მანეთად ყიდულობდნენ ფუთ პარკს, შემდეგ ცამეტ მანეთსაც იძლეოდნენ და ბოლოს ლამის თოთხმეტ მანეთამდის ავიდა პარკის ფასი. საზოგადოების შარშანდელთან შედარებით ეცოტავებოდა ეს ფასი და ფიქრობდა, მოიმატებსო. ვგონებ, ასეც იქნებოდა, რომ ჩარჩებს არ ეჩინათ თავი. ესენი მიჰვარდნენ ვაჭრებს და სასტიკად უსაყვედურეს, ასეთ მაღალ ფასებს რათ აძლევთ და თავს იღუპავთო, თქვენ სულ ნუ იყიდით, ჩვენ დაგვაცადეთ და რაც შეიძლება დაბალ ფასებში ჩაგაბარებთ პარკსაო. ასეც მოიქცნენ. დღეს აბრეშუმის ფასი თუმნამდე დაეცა. არსებობს კუხის ამხანაგობა. მაგრამ მას საკმაო ფული არა აქვს, რომ ბოლო მოუღოს ამ ვაჟბატონების აღვირწახსნილ თავგასულობას. ამხანაგობამ სესხისათვის ხონის ბანკს მიჰმართა, მაგრამ ბანკმა უარი განუცხადა. აბრეშუმის საქმეს უმთავრესად ქალები მისდევენ. დიდ ჭაპანწყვეტაში არიან, ოჯახის საქმესაც ართმევენ თავსა და აბრეშუმსაც უვლიან, იმ იმედით, რომ რამეს ჩამოვრჩებითო. წელს-კი ბევრი ხარჯებსაც ვერ ასწორებს. უნდა ნახოთ, რა რიგად სასოწარკვეთილებას მისცემიან. ჩვენს ვაჭრებს ცოტა შორს გამჭვრეტელობა რომ ჰქონოდათ, ასეთ საძაგელ საქმეს არ ჩაიდენდნენ.

ტეხურისპირელი.

ღამის დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

1 ივლისი

მუკდენი. ხმებია, იაპონელთა ჯარს, რომელსაც იხანდანსიანი და ძიანჩინი უჭირავს, ბევრი იაპონურად ჩაცმული კორეელი ჯარის-კაცი ურევიაო. ამ ადგილების იაპონელთა ჯარის რიცხვი მცირეა. ეს ჯარი ზურგის გასამაგრებლად ჰყავთ. ადგილობრივი ჩინელები, როცა იაპონელები უახლოვდებიან, მთებში იხიზნებიან. ჩინელები ჩვენს ჯარს ყოველ გვარს დახმარებას უწევენ.

ვლადივოსტოკი. ქალაქში საგაზეთო ქაღალდის უქონლობისა გამო დროებით შესწყდა „ვოსტოჩნი ვესტნიკ“-ის გამოცემა. ხელის მომწერლებს სრულად უბრუნებენ ფულს პირველ ივლისიდან.

ტოკიო. („რეიტ. სააგ.“). დაგუშანს არმიიდან მიღებულია 27 ივნისს გამოგზავნილი დეპეშა. იუწყებიან, იაპონელთა ჯარები წინ მიდიან ხოხიოსკენ სიხეიანის გზითაო. შიფუანლაინის ახლოს იაპონელებმა იერიში მიიტანეს რუსის ჯარზე, რომელმაც ჩრდილოეთისაკენ დაიწია. მიუახლოვდა ათი ბატალიონი ორის ბატარეით. იაპონელთა რაზმმა, რომელმაც სიხეიანზე გამოიარა სხვა გზით, 28 ივნისს იერიშით აიღო სიხეიანის სამხრეთით მდებარე სიმაღლეები. რუსებმა მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს და მხოლოდ დაღამებულზე გამობრუნდნენ სიხეიანიდან.

დღეს მოვლენ დალნში მთავარ-სარდალი ოიამა და გენერალი კოდამა.

ნიუ-ჩუანი. („რეიტ. სააგ.“). 30 ივნისს, დილით, დაინახეს იაპონელთა მზვერავები ნიუ-ჩუანის სამხრეთით, 6 მილის მანძილზე. გენერალი ოკუ 50,000 კაცისაგან შემდგარის არმიით საჩქაროდ წინ მიდის ნიუ-ჩუანისა და დაშიცაოს შუა.

30 ივნისი

მარიენბადი. მოვიდა ბოლგარიის მთავარი.

ბერლინი. დღეს ლონდონში გერმანიის ელჩმა და ლორდმა ლანსდოუნმა ხელი მოაწერეს ინგლისსა და გერმანიას შორის დადებულ ხელშეკრულებას სამედიატორო სასამართლოს შესახებ. ასეთი ხელშეკრულებანი ინგლისმა სხვა სახელმწიფოებთან უკვე დასდო.

ყაზანი. საგლეხო რეფორმათა ყაზანის კომიტეტმა დაადგინა სასარგებლოდ სცნოს: 1. სასოფლოსა და სამღვდელო-მამულო ურთიერთობის განცალკევება; 2. უწოდებო ვოლოსტის დაწესება; 3. ვოლოსტის სასამართლოს გაუქმება და იმის ნაცვლად ჩვეულებრივ სასამართლოების შემოღება; ამასთან ყველა ვოლოსტში მონაწილეობა უნდა მიიღოს ორჩაამორჩეულმა მოსამართლემ; 4. მესაკუთრე გლეხს მიენიჭოს სრული უფლება და 5. დაექვემდებარნენ გლეხები საერთო კანონსა და სასამართლოს.

პარიზი. ბრიანსონში მიწის ძვრა მოხდა, რომელმაც თვალსაჩინო ზარალი მიაყენა მცხოვრებთ.

პარიზი. დეპუტატთა პალატა. კამათი გაიმართა იმ კომისიის ანგარიშის შესახებ, რომელიც დანიშნული იყო კორტეზიანთა მილიონების საქმის განსახილველად. კამათის შემდეგ პალატამ, 370 ხმის უმეტესობით 82 ხმის წინააღმდეგ, მიიღო მარტენისა, ჟორესისა და სარიენის მიერ შეტანილი ფორმულა. ფორმულაში ნათქვამია: პალატამ, გამოძიების შედეგთა თანახმად, დაადგინა, რომ მინისტრ-პრეზიდენტისა და მთავრობის პატიოსნება ყოველ ეჭვს გარეშეაო.

სოფია. გენერალ-მაიორი ნიკიფოროვი დაინიშნა ბოლგარიის დიპლომატიურ აგენტად ბერლინში.

ბერნი. დღეს დასრულდება მოლაპარაკება იტალიისა და შვეიცარიის შუა შესახებ სავაჭრო ხელშეკრულებისა.

ბერგენი. დღეს დილით გემ „ჰოჰენცოლერნ“-ით წავიდა იმპერატორი ვილჰელმი.

სოფია (ოპოზიციონურ წრეებიდან). ბიტოლიიდან იტყობინებიან, რომ ბევრი ოლქი თხოულობს იმ რეფორმის შემოღებას, რომელიც ეხება საათისთაო გადასახადს სამეურნეო ნაწარმოებზე. რეფორმის პროექტი ორია, ერთი შემუშავებულია სამოქალაქო აგენტების მიერ, მეორე თვით პორტამ შეადგინა. ოსმალეთის მთავრობა დაბეჯითებით თხოულობს, რომ ორივე პროექტი შემოიღონ საცდელად მხოლოდ ხუთ სოფელში.—გავრცელდა ხმა ოსმალეთის წყაროებიდან, რომ რეფორმების შემოღებას მცირე აზიის იმ ადგილებში, სადაც სომხები არიან დასახლებულნი, დიდი შემაფერხებელი გარემოებანი შეხვდებათ. რეფორმების შემოღებისათვის ტერიტორია ისე უნდა დაიყოს ადმინისტრატიულად, რომ ქურთები და სომხები განცალკავებულ იქნენ.

ლონდონი. („რეიტ. სააგ.“). გაზეთები ლაპარაკობენ ინგლის-გერმანიის შეთანხმებაზე შესახებ სამედიატორო სამართლისა „დეილი ნიუს“-ის აზრით, ეს შეთანხმება გაბედული ნაბიჯია ნამდვილ მშვიდობიან პოლიტიკის გზაზე. „დეილი ტელეგრაფ“-ი ამბობს, რომ იმგვარი შეთანხმებანი, როგორიც მოხდა საფრანგეთთან, იტალიასთან და ესპანიასთან, თანდათან სიმტკიცეს აძლევს მშვიდობიანობასაო. ეს შეთანხმებანი სპობენ წვრილმან უთანხმოებათ ინგლისისა და სხვა დიდ სახელმწიფოების დიპლომატიურ დამოკიდებულებაში. ამ გვარი შეთანხმება შეიძლება მოხდეს რუსეთთანაცაო.

გროდნა. შინაგან საქმეთა მინისტრმა ნება დართო ხუმიკოვს გამოსცეს „ბელოსტოკსკი ვესტნიკ“-ი „ზაპადნაია ოკრაინა“-ს სახელით. გაზეთი ბელოსტოკში გამოვა.

იაროსლავლი. გამოვიდა ახალი ყოველდღიური გაზეთი „იაროსლავსკი ვესტნიკ“-ი, რომელიც წინად „იაროსლავსკი პოსრედნიკ“-ი იყო.

1 ივლისი

ბათუმი. რკინის გზის საბარგო სადგურის კანტორიდამ ვიღაც უცნობმა მოიპარა 13,500 მან. ფული დაკეტილ ყუთში იყო. კლიტეები დაუზიანებელი აღმოჩნდა.

რომი. ხელი მოაწერეს ახალს სავაჭრო ხელშეკრულებას. იტალიისა და შვეიცარიის შორის.

ლონდონი. („რეიტ. სააგ.“). ქალაქ ლონდონის მოურავმა მიიღო ქალაქ პეტერბურგის მოურავი და ნიშნად პატივისცემისა საუზმე გაუმართა.

პეტერბურგის ბირჟა, 30 ივნისი

ვექსილის კურსი 18 თვით:

ლონდონისაზე 10 გირვ. სტ.	94,00
ბერლინისაზე 100 მარკაში	
პარიზისაზე 100 ფრანკში.	—
ლონდონისაზე ჩეკები	94,55
ბერლინისაზე „	46,30
პარიზისაზე „	37,50
ბირჟის დისკონტი	6-$7\frac{1}{2}$%
4% სახელმწიფო რენტა	$92\frac{3}{8}$ გაყ.
4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ.	—
$4\frac{1}{2}$% შინაგანი სესხი 1903 წ.	—
4% გირ. ფურ. სახელ. ს.-მამ. ბანკ.	$87\frac{3}{4}$ „
5% 1 შინ. სესხ. მომ. ბილ. 1864 წ.	$379\frac{1}{2}$ „
5% მეორე შინ. სესხ. მომ. ბილ. 1866 წ.	$298\frac{1}{2}$ „
5% გირ. მომგ. ფურც. სახ. ს.-მამ. ბანკ.	262 „
5% ობლ. ტფილ. საკრ. საზოგ.	—
$4\frac{1}{2}$% ობლ. იმავე საზოგად.	—
5%-ანი ობლ. ბაქოს საკრ. საზოგ.	—
5% გირ. ფურც. ტფილ. ს.-მამ. ბანკ.	—
$4\frac{1}{2}$% გირავ. ფურც. ამავე ბანკისა.	—
6% გირ. ფურ. ქუთ. ს.-მამ. ბანკისა.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა.	—
ა. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია.	192 „

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

გამოსადეგი ცნობანი

—

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

18 აპრილიდან.

ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა.

ა) ტფილისიდან მიდის:

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით) ნაშუადღევის 5 ს. 25 წ. (6 ს. 23 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.); 3) სამგზავრო № 6 ღამის 11 ს. 10 წ. (12 ს. 8 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 დილის 9 ს. 10 წ. (10 ს. 8 წ.).

ბათუმს: 1) სწრაფი № 1 საღამოს 10 ს. (10 ს. 58 წ.); 2) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 1 ს. 24 წ. (2 ს. 22 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.).

ერევანსა და ყარსს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 50 წ. (12 ს. 48 წ.); 2) საქონლ. სამგზ. № 90/91 ნაშუადღევის 2 ს. 31 წ. (3 ს. 29 წ.).

ბორჯომს: 1) სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. 40 წ. (3 ს. 38 წ.); 2) სამგზავრო № 9/10 დილის 8 ს. (8 ს. 58 წ.).

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს, ნაშუადღევის 2 ს. 2 წ. (3 ს.); საფოსტო № 3 ნაშუადღევის 12 ს. 37 წ. (1 ს. 35 წ.); სამგზავრო № 5 დილის 5 ს. 52 წ. (6 ს. 50 წ.); საქონ.-სამგზ. № 17 საღამოს 7 ს. 49 წ. (8 ს. 47 წ.).

ბათუმიდან: 1) სწრაფი № 2 დილის 7 ს. 39 წ. (8 ს. 37 წ.); საფოსტო № 4 საღამოს 7 ს. 49 წ. (8 ს. 47 წ.); სამგზავრო № 6 საღამოს 10 ს. 35 წ. (11 ს. 33 წ.).

ერევან-ყარსიდან: საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 24 წ. (6 ს. 22 წ); საქონ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევის 3 ს. 47 წ. (4 ს. 45 წ.).

ბორჯომიდან: სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.); სამგზავრო 9/10 საღამოს 9 ს. 9 წ. (10 ს. 7 წ.).

ბ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერთხელ კვირაში) ღამის 12 ს. 53 წ. (1 ს. 51 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 6 ს. 37 წ. (7 ს. 35 წ.); 3) სამგზ. № 5 შუადღის 12 ს. 37 წ. (1 ს. 35 წ.); 4) საქ.-სამგზ. № 17 ღამის 1 ს. 10 წ. 2 ს. 8 წ.).

გ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) სწრაფი № 2 საღამოს 9 ს. 33 წ. (10 ს. 31 წ.); 2) საფოსტო № 4 დილის 9 ს. 6 წ. (6 ს. 4 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 5 ს. 43 წ. (10 ს. 41 წ.

დ) ქუთაისიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) ღამის 12 ს. 25 წ. (1 ს. 23 წ.); 2) ნაშუადღევის 2 ს. (2 ს. 58 წ.), 3) დილის 8 ს. 45 წ. (9 ს. 43 წ.).

ბათუმისაკენ: 1) ღამის 4 ს. 10 წ. (5 ს. 8 წ.(; 2) საღამოს 8 ს. 45 წ. (9 ს. 43 წ.); 3) ნაშუადღევის 2 ს. (2 ს. 58 წ.).

შორაპნამდე: № 45/44 ნაშუადღევის 1 ს. 30 წ. (2 ს. 28 წ.).

განცხადებანი

სადგურ „ბელაგორთან“ ახლო, დ. ხარაგაულში მაქვს მოწყობილი

КИРИС ქარხანა,

სადაც მზადდება საუკეთესო ხარისხის კირი. (ამ საკირეს ინჟინრები ხმარობდნენ რკინის გზის გაყვანის დროს). მსურველთ გაეგზავნებათ ვაგონობით. ფასი ხელ-მისაწვდენია.

პატივისცემით ივანე პეტრეს ძე თაბუკაშვილი.

(2—2)



СѢДЕЛЬН.
СПЕЦІЯЛЬН.
Безъ конкуренціи
Продаются всевозможн. сѣдла.
მიხაილოვის პრ., სახლი აკოფოვისა, № 92, საზაფხულო სობრანიის ახლოს. (წ.—176—52)

ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლისავა

მიმდინარე წლის ენკენისთვისათვის ტფილის ათავად-აზნაურო სასწავლებელში სულ ორმო (40) ვაკანსია არის პირველ განყოფილებაში (და 8 წლის ყმაწვილისათვის). სხვა განყოფილე ბებში და გიმნაზიურ კლასებში არც ერთი თავისუფალი ადგილი არ არის და ამიტომ არ თხოვნები მიიღება ამ კლასებში ყმაწვილ ს მის ღებად.

40 ვაკანსიიდან—39 დანიშნულია გარ დან მ სიარულებისათვის და 1 საზოგადოების სრუ ხარჯზე.

საზოგადოების ნახევარ ხარჯზე ჯერ არც ერთ თავისუფალი ადგილი არ არის და შესაძლებელ სექტემბერში, ხელ-მეორე გამოცდის შემდეგ, გა ხსნას.

ვინც საზოგადოების სრულს ხარჯზე იქნება მი ღებული, იმას არავითარი ხარჯი არ მოეთხოვება ვინც ნახევარ ხარჯზე—უნდა იხადოს წელიწადშ ათ-ათი თუმანი. ვისაც სურს მიღებული იქნ საზოგადოების სრულ ხარჯზე, იმან უნდ წარმოადგინოს თხოვნასთან ერთად შემდეგი საბუ თის ქაღალდები: ა) წლოვანობის მოწმობა, მიღე ბული სინოდალურ კანტორისაგან, ბ) სიღარ ბის მოწმობა მაზრის თავად-აზნაურობის წინამძღოლისაგან და გ) ყვავილის აცრისა და ჯანმრთელობის მოწმობა.

ვისაც გარედან მისიარულედ სურს შემოსვლ იმისთვის საჭიროა იგივე საბუთის ქაღალდები, გარდა შეუძლებლობის მოწმობისა.

უკეთუ მოთხოვნილთა რიცხვი აღემატება ვაკანსიების რიცხვს, იმ შემთხვევაში მსურველთ ადგილი დაეთმობათ წილის ყრით. წილის ყრაში მონაწილეობას მიიღებენ მხოლოდ ისინი, რომელნიც წარმოადგენენ საჭირო საბუთის ქაღალდებს და ამასთანავე ეგზამენსაც დაიჭერენ წლოვანების შესაფერ კლასისათვის.

სკოლის გამგე კომიტეტი არ მიიღებს იმ ყმაწვილებს, რომელნიც არ წარმოადგენენ მათზე დარჩენილს წინა წლის ფულს და მომავალ სამოსწავლო წლის პირველ ნახევრის სწავლა-აღზრდის ფასსაც.

შესაძლებელია სექტემბერში, მოსწავლების ხელმეორედ გამოცდის შემდეგ, კიდევ გაიხსნას რამდენიმე ვაკანსია იმათთვის, ვინც სრულს საკუთარ ხარჯზე ისურვებს პანსიონში შემოსვლას, ან ნახევარ ხარჯზე.

ვინც საკუთარ ხარჯზე შემოვა პანსიონში, იმან უნდა შემოიტანოს წელიწადში ოცი თუმანი: ათი თუმანი შემოსვლისთანავე და ათიც იანვარში.

ვისაც თხოვნა აქვს შემოტანილი პირველ განყოფილებაში ყმაწვილების მიღებისა,—იმათ 31 აგვისტოსთვის უთუოდ უნდა მოიყვანონ სკოლაში ყმაწვილები ჯანმრთელობის შესამოწმებლად და ქართულ ლაპარაკში გამოსაცდელად.

თხოვნა უნდა შემოვიდეს აგვისტოს 20-მდის; ქალაქ გარეშე მცხოვრებთ თხოვნა უნდა გამოგზავნონ შემდეგის ადრესით: Въ Тифлисъ. Завѣдывающему Дворянской Школой, на Лабораторной улицѣ.

აგვისტოს 25—31-ში ხელ-მეორე გამოცდა მოხდება ზოგიერთ მოსწავლეებისა. 1-ლ სექტემბერს სწავლა დაიწყება. დათხოვნილ იქნებიან აგრეთვე ის გარედან მოსიარულე მოწაფეებიც, რომელნიც სკოლაში მოსვლისთანავე არ წარმოადგენენ მომავალ 1904—1905 სამოსწავლო წლის ფულის ნახევარს. ყველა პანსიონერის მშობლებმა უნდა წარმოადგინონ თავმდებნი ტფილისში მცხოვრებთაგანნი, რომელთანაც სკოლის გამგეობას შეეძლოს მიმართვა როგორც ფულის თავ-თავის დროზედ შემოტანისათვის, აგრეთვე სხვა შემთხვევაშიაც. (15—6—5)

საუკეთესოდ მოწყობილი
ასოების ჩამოსასხმელი ქარხანა
წიგ. გამ. ქართ. ამხანაგობისა.
ამზადებს ყოველნაირ ქართულს, რუსულს, სომხურს და თათრულს ასოებს.
პრეისკურანტი მსურველთ უფასოთ ეგზავნება.

სიბრძნე-სიცრუე
ახალი გამოცემა
იყიდება ქართველთა ამხანაგობის კიოსკში.

ჩემის ვაჭრობის მოსპობის გამო
ამა წლის 22 აპრილიდან დავიწყე უკანასკნელი გაყიდვა, საფაბრიკო ფასებზე დაბლა, ჩემ
სამებელო მაღაზიაში, ალექსანდროვის ბაღის პირდაპირ, ხაზინის გვერდით.
გადაჭრილი ფასებია დანიშნული.
ნარდათ მყიდველებს ვთხოვ პირდაპირ მე მომმართონ.
პატივისცემით ბ. გ. ბერიევ
60—189—55)

Доз. цензурою. 1 Iюля 1904 г. [illegible] წიგნების გამომც. ქართ. ამხ—ბის. Электропеч. Груз. Изд. То—ва